საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1042-03
18/07/2023

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე - ,,ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ რიგგარეშე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის განაცხადის შემოტანის, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების, ხელშეკრულების გაფორმების ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, 5^1 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-5^2 მუხლის საფუძველზე, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 11 ივლისის N1.1/100 ბრძანების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 18 ივლისის N12617-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს რიგგარეშე მობილობა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე - ,,ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, 10 ვაკანტურ ადგილზე.
2. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის - ,,ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ რიგგარეშე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის განაცხადის შემოტანის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 24 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, მისამართზე – ილია ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A303.
3. რიგგარეშე მობილობის მსურველი პირების რეგისტრაცია განხორციელდება გამოყოფილი ვაკანტური ადგილების (10 ადგილი) რაოდენობის შესაბამისად. აღნიშნული ადგილების რაოდენობის ამოწურვის შემდგომ რეგისტრაცია დასრულდება და განაცხადის გაკეთება იქნება შეუძლებელი.
4. განაცხადს (ივსება ადგილზე) თან უნდა ჰქონდეს დართული ქვემოთ მითითებული დოკუმენტები:

ა) ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და ასევე სტუდენტთან დაკავშირებით გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტიდან (განმეორებითი მობილობის შემთხვევაში - ყველა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელშიც სტუდენტს უსწავლია);

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) (განმეორებითი მობილობის შემთხვევაში - ყველა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელშიც სტუდენტს უსწავლია);

გ) ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2023 წლის 18 ივლისის შემდეგ (სტუდენტის სტატუსის, სასწავლო პროგრამის დასახელების, და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით);
დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ვაჟებისთვის);
ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
ვ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;
ზ) ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე და ფოტოსურათის ელ. ვერსია ჩაწერილი CD დისკზე;
თ) 2020 და შემდგომ წლებში ჩარიცხულ რიგგარეშე მობილობის მსურველ პირებს ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამოცდები და უნდა წარმოადგინონ ცნობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მიმღებ პროგრამაზე საჭირო (ისტორია ან ლიტერატურა) მესამე ან/და მეოთხე გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ გამოცდებში მიღებული ნედლი ქულის მითითებით;
5. ამ ბრძანების მეოთხე პუნქტით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით;
6. იმ შემთხვევაში, თუ საბუთების წარმოდგენისა და ხელშეკრულების გაფორმების მიზნით უნივერსიტეტში გამოცხადდება მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
7. ფაკულტეტის მხრიდან რიგგარეშე მობილობის შესახებ განცხადებების განხილვის, შესაბამისი პროგრამული თავსებადობის დასკვნების მომზადების, სტუდენტთათვის გაცნობისა და მათთან ხელშეკრულების გაფორმების ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2023 წლის 3 აგვისტო;
8. პროგრამული თავსებადობის დასკვნის მომზადებამდე და ხელშეკრულების გაფორმებამდე, მობილობის მსურველ პირებს ჩაუტარდებათ ინგლისური ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ტესტირება სასწავლო ხელშეკრულების ვადის/პირობების განსაზღვრისა და სასწავლო პროცესში ოპტიმალური ჩართვის მიზნით.
9. მობილობის მსურველ პირთათვის დასკვნების გაცნობა და ხელშეკრულების გაფორმება იწარმოებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ სივრცეში.
10. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის მიზნით არაუგვიანეს 2023 წლის 7 აგვისტოსი;
11. ბრძანების პროექტზე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება 2023 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით;
12. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს რიგგარეშე მობილობის წესით პირთა ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარსადგენად მომზადება ამ აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.
13. პირები, რომლებიც მოიპოვებენ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის უფლებას სწავლას შეუდგებიან 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან;
14. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;
15. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
16. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს,

უნივერსიტეტის კანცელარიას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი